

ბაალიშვილი მალხაზ

ბაალიშვილი მალხაზ მიხეილის ძე (დ. 27. IX. 1920, მცხეთა), ბიოფიზიკოსი. საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. 1979). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1975). თეორ. და გამოყენებითი ბიოფიზ. განათლების საერთაშ. ასოციაციის პრეზიდენტის წევრი. 1941 დაამთავრა თსუ-ის ქიმ. ფაკ-ტი ფიზიკური ქიმ. სპეციალობით.

1941-44 იყო საქართვე. ჰიგიენის ინ-ტის ქიმიკოს-ანალიტიკოსი. 1947-86 მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. ფიზიოლ. ინ-ტში, სადაც 1962 შექმნა ბიოფიზ. ლაბორატორია (შემდეგ - ბიოფიზ. სექტორი). მისი ინიციატივით საქართვე. მეცნ. აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზ. სექტორის ბაზაზე დაარსდა საქართვე. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტი. 1986-2000 იყო აღნიშნული ინ-ტის დირექტორი, 2000-06 - საქართვე. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტის ბემოლეკულური სისტემებისა და უჯრედის ბიოფიზ. ლაბორ. გამგე, 2006-იდან - ამავე ინ-ტის ბიოლ. ძვრადობის განყ-ბის გამგე, 1989-2002 - საქართვე. მეცნ. აკად. პრეზიდენტის წევრი და ბიოლ. განყ-ბის აკად. მდივანი, 2004-იდან - საქართვე. მეცნ. ეროვნული აკად. პრეზიდენტის მრჩეველი, 2001-06 - საქართვე. მეცნ. აკად. ცენტრალური სამეცნ.-პედ. საქმიანობას. ზ., როგორც ფიზ. ფაკ-ტის პროფ., კითხულობდა ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: ზოგადი და უჯრედის ბიოფიზიკა, მოლეკულური ბიოლოგია, რადიობიოლოგია.

ზ-მა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ბიოფიზ. და მოლეკულური ბიოლ. რიგი მიმართულებების განვითარებას. მისი კვლევის თემაა მეორეული ფილამენტების მაკრომოლეკულების როლი კუნთის უჯრედის მოქმედებაში; კუნთის გიგანტური ცილების მინორულ ცილებთან ურთიერთქმედება და მათი როლი კუნთის შეკუმშვის პროცესში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ.შ. ერთი მონოგრაფია ("კუნთის მოქმედების ფიზიკო-ქიმ. საფუძვლები"; თბ., 1971). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).
